მწვანე ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართული
ტელეფონი: (+995 32) 222 38 74 / 229 27 73
ფაქსი: (+995 32) 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

04/09/01-155
28 აპრილი, 2014

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
იურიდიული დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ სოფიო სიჭინავას

(ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მოსაზრება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებიას მიღების საფუძვლების არ არსებობის თაობაზე)

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 აპრილის #13094 წერილით წარმოდგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება სზაკ-ის 182.1 მუხლის „ბ“ და "ვ" ქვეპუნქტების საფუძველზე ასოციაცია მწვანე ალტერნატივას 2014 წლის 08 აპრილის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც არასწორია და კანონსაწინააღმდეგო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის “ა” პუნქტისა და მასზე ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად დაინტერესებული მხარე არის - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ან ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით; ხოლო ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმე ასოციაცია მწვანე ალტერნატივას, დავით სახვაძის სარჩელისა გამო მოპასუხეების საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს მთავრობის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5

ივლისის № 03/108 ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის #1430 განკარგულების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს #03/130 ბრძანების,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 23 აგვისტოს #27617 წერილით ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ეცნობა, რომ ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ მიღებულია განსახილველად და შესაბამისად, გადაეგზავნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დასკვნის წარმოსადგენად. საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ წარმოადგინა დასკვნა ადმინისტრაციულ საჩივარზე. საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გაიმართა ზეპირი მოსმენა წინამდებარე ადმინისტრაციულ საჩივარზე და არსებითი განხილვის შედეგად საქართველოს მთავრობამ მიიღო ე.წ შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რომლის კანონიერებას იხილავს ამჟამად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეზე ერთ-ერთ მოპასუხეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, შესაბამისად, მისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებული საქმე და წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა, ანუ დავის საგანი, სრულიად განსხვავებულია; სრულიად სხვადასხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია გასაჩივრებული ადმინისტრაციული სარჩელით და ადმინისტრაციული საჩივრით, რის გამოც არ არსებობს წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის სზაკ-ის 182.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. რაც შეეხება სზაკ-ის 182.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის შესახებ:

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა წარმოადგენს “დაინტერესებულ პირს” და 2014 წლის 08 აპრილს ადმინისტრაციული საჩივარი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, წარმოდგენილია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით „უფლებამოსილ“ ადმინისტრაციულ ორგანოში „უფლებამოსილი პირის“, ასოციაცია მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელი დირექტორის ნინო გუჯარაიძის მიერ. კერძოდ:

1. როგორც მწვანე ალტერნატივას საჩივარშია აღნიშნული, „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის 3 პუნქტის თანახმად, „“გარემოსდაცვითი ინფორმაცია” გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:
ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორიც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;

ბ) ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;
გ) ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, **კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა**, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.

კონვენციის ზემოთმოყვანილი მუხლის თანახმად, ჩვენს მიერ წარდგენილი საჩივარი შეეხება გარემოსდაცვით საკითხს.

2. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2014 წლის 17 აპრილის #13094 წერილის თანახმად, „კონვენცია ეხება გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ადგენს, რომ კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, რომლის ერთ-ერთი მონაწილეც არის საქართველო, უნდა უზრუნველყოს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თუმცა გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ საფეხურზე, სანამ არჩევანი გაკეთდება (მე-8 მუხლი). **ხსენებული კონვენციის მიხედვით, პირს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები“.**

ზემოთმოყვანილ განმარტებასთან დაკავშირებით მოგახსნებეთ, რომ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია, როგორც კონვენციის სათაურიდანვე ჩანს (რომ აღარაფერი ვთქვათ მთლიანად კონვენციის შინაარსზე), ეხება არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებს, არამედ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობისა (მუხლი 6, მუხლი 7. მუხლი 8.) და კანონმდებლობის დარღვევისას მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის (მუხლი 9.) საკითხებს.

კონვენციის მე-9 მულის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული საზოგადოების წევრებს:

ა) რომლებსაც გააჩნიათ დასაბუთებული ინტერესი, **<u>ან</u>**

ბ) რომელთა უფლებები ილახება, იქ სადაც ამ მხარის ადმინისტრაციულ-საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს ამას, როგორც წინაპირობას,

მიეცეთ საშუალება სასამართლოში ან/და კანონით დადგენილ სხვა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში **გაასაჩივრონ ნებისმიერი გადაწყვეტილების, ქმედებისა თუ უმოქმედობის არსებითი ან პროცესუალური სამართლიანობა. ამისათვის ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესები, რომლებიც აკმაყოფილებენ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს, ჩაითვლება დასაბუთებულად ზემოთ მოყვანილი (ა) ქვეპუნქტის**

მიზნებისათვის. უნდა ჩაითვალოს ასევე, რომ ასეთი ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან განაცხადონ მათი უფლებების შელახვის შესახებ ზემოთ მოყვანილი (ბ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის.

კონვენციის მე-2 მუხლის მე-5. პუნქტის თანახმად, "დაინტერესებული საზოგადოება" ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება, ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას წესდების (თანდართულია საჩივარს) თანახმად, ორგანიზაციის მიზნებია:

- საქართველოში მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება;
- საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით სფეროში;
- გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელება;
- ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარია იყო და ამჟამად არის არაერთი სასამართლო დავის მონაწილე, სადაც სასამართლოს არ გაუზიარებია მთავრობის კანცელარიის პოზიცია მწვანე ალტერნატივას მიერ გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების არაუფლებამოსილების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ასოციაცია მწვანე ალტერნტივა არის „დაინტერესებული პირი" და დაუშვებელია მას მოეთხოვოს გარემოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას ინტერესისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების დასაბუთება.

3. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ საქართველოს მთავრობის კანცელარიაში 2014 წლის 8 აპრილს წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მეორე მოთხოვნაა - სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის #05/09/221 დასკვნის ბათილად ცნობა.

სზაკ-ის 185-ე მუხლის თანახმად, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი. სზაკ-ის მე-XIII თავით „სხვა რამ" არ არის დადგენილი, ამიტომაც განსახილველ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი.

სზაკ-ის 80.1 მუხლის თანახმად (აღნიშნული მუხლი შედის VI თავში), თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა არ არის უფლებამოსილი უარი განაცხადოს სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის

ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის #05/09/221 დასკვნის ბათილად ცნობის შესახებ ადმინისტრაციულ საჩივარზე, საქართველოს მთავრობას სზაკ-ის 80.1 მუხლის დანაწესის მიხედვით ეკისრება ვალდებულება აღნიშნულ ნაწილში ადმინისტრაციული საჩივარი გადაუგზავნოს „უფლებამოსილ“ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც მისივე წერილის გათვალისწინებით არის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. აქედან გამომდინარე, სრულიად უსაფუძვლოა და მით უფრო არ უნდა იქნეს გაზიარებული საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2014 წლის 17 აპრილის #13094 წერილში წარმოდგენილი მოსაზრება თითქოსდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის #01/01-1227 გადაწყვეტილება ეფუძნება სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის #05/09/221 დასკვნას, რომელიც სადავოდ არ არის გამხდარი და იგი წარმოადგენს კანონიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

სზაკ-ის 80.5 მუხლის თანახმად, განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას 2014 წლის 8 აპრილს წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრით მოითხოვა სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის #05/09/221 დასკვნის ბათილად ცნობა, მაშასადამე, ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მიერ დაცულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

საქართველოს მთავრობას, სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, თუმცა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 აპრილის #13094 წერილში წარმოდგენილი საფუძვლების საფუძველზე ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციულ საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შემთხვევაში სახეზე იქნება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონსაწინააღმდეგოდ განხორციელებული საქმიანობა, რომლის შედეგები დაექვემდებარება ბათილად ცნობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვლისწინებით, მიგვაჩნია, რომ ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ 2014 წლის 8 აპრილს წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღების და განხილვის საკითხზე არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტების გამოყენებით გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

დანართი 1. საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 23 აგვისტოს #27617 წერილი (1 ფურცელი);
დანართი 2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის #1430 განკარგულება (12 ფურცელი).
დანართი სულ : 13 ფურცელი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი